



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

25 აგვისტო, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - მერაბ ლომიძე
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
გიორგი ტყავაძე

სხდომის მდივანი - მარიამ ირემაშვილი

აპელანტი (მოსარჩელე) - ა(ა)იპ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
წარმომადგენელი - ირმა მახათაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ნინო გუჯარაიძე

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - საქართველოს მთავრობა
წარმომადგენელი - ზაზა თაქთაქიშვილი

მესამე პირი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
წარმომადგენელი - ნინო სამადაშვილი, მარი იმერლიშვილი

მესამე პირი - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
წარმომადგენელი - ირაკლი ჯულელი

მესამე პირი - სს „დარიალი ენერჯი“
წარმომადგენელი - დავით ტაბატაძე, ლაშა უფლისაშვილი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ
ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.1. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს დარიალ ენერჯიმ 2011 წლის 10 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. წერილის ავტორი განმარტავდა, რომ ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგზე სს დარიალ ენერჯსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 19 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ხორციელდებოდა 108 მგვტ ჰიდროელექტროსადგურის - „დარიალ ჰესის“ მშენებლობა. ვინაიდან მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართობი ნაწილობრივ ჯდებოდა დაცულ ტერიტორიებში (აზომებით ნახაზი N1, N2, N3) სს დარიალ ენერჯი ითხოვდა აღნიშნული ნაკვეთების სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებით გადაცემას. წერილის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ მითითებულ ნაკვეთებზე არ იყო გათვალისწინებული რაიმე სახის ხე-ტყის მოჭრა და არ აღინიშნებოდა წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობა.

2.2. სს დარიალ ენერჯის წერილის საფუძველზე მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 მ.კვ მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გამოყოფის თაობაზე.

2.3. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 2011 წლის 14 ნოემბრის N25-05/44 წერილით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეცნობა, რომ წარდგენილ ნახაზზე აღნიშნული ტერიტორია მდებარეობდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერში ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი მცენარეების სახეობები არ იყო წარმოდგენილი, ხოლო არსებული ნახაზის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე დარიალ ჰესის მშენებლობა არ მოითხოვდა მერქნიანი მცენარეების მოჭრას.

2.4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2011 წლის 15 ნოემბრის N17/08/4477 წერილით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსადმი განმარტებულია, რომ ყაზბეგის (სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით შერჩეული მიწის ნაკვეთის ე.წ. სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გამოყოფის თაობაზე სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნევა დოკუმენტაციაში წარდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულიყო წერილში მითითებული ღონისძიება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.5. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის N574 წერილით საქართველოს მთავრობას სხდომაზე განსახილველად წარედგინა განკარგულების პროექტი ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე.

2.6. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, ვინაიდან წარდგენილი წერილისა და პროექტის მიხედვით არ იგეგმებოდა დაცულ ტერიტორიაზე რაიმე სახის ჭრების განხორციელება, დამატებით გასააზრებელი იყო აღნიშნული საკითხის მიზანშეწონილობის საკითხი.

2.7. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის სხდომის N42 ოქმიდან ამონაწერის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე“.

2.8. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულებით „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობი გამოიყო სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.9. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ასევე

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქვეული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

2.10. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები, მათ შორის ტრადიციული გამოყენების ზონა. ამასთან, ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება. „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყაზბეგის ეროვნული პარკი შეიქმნა 8707 ჰა ტერიტორიაზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბრის N46 ბრძანებით 2008 წლის 7 ნოემბრის N729 ბრძანებას დაემატა N12 დანართი. აღნიშნული დანართით დადგენილი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი. წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საერთო ფართობი შეადგენს 2990 ჰა ტერიტორიას, რომელიც მოიცავს №2 კვარტალის მე-5 უბანს და №№ 5, 6, 10, 11, 14, 18, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, 34, 35, 36, 38, 41, 42, 44, 45, 49, 57, 58 კვარტალებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რაც დასაშვებია ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა ის გარემოება, რომ დარიალ ჰესის მშენებლობისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოსაყოფი მიწის ფართი ექცეოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის N6 კვარტლის მე-18 ლიტერში. მოსარჩელე სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშეუსაბამობის დასადასტურებლად მიუთითებს დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ კანონზე. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას არ ითვალისწინებს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ტყის კოდექსის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოს

კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონების, მიწის კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ტყე არის გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ტყე არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე; ამავე კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით მოაზრებულ ტერიტორიას აქცევს ტყის კოდექსით დადგენილ ტყის ფონდის ფარგლებში. ამდენად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას ტყის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების შესაბამისი ნორმების გამოყენება მართებულია.

2.11. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის: ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობის (გარდა ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისა), ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის (ცვლილების დოკუმენტი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივნისის N228, მოქმედებს 2011 წლის 11 ივნისიდან). ამავე წესის 27² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით

სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სადავო ტერიტორია ტყის ფონდის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იყო სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემის თაობაზე მიეღო გადაწყვეტილება. ამგვარი გადაწყვეტილება აისახა სადავო საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულებაში, დავის განხილვისას წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელთა თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნა არ მოიპოვებოდა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. ამასთან, წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის №1150 განკარგულება, რომლითაც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობას, სს დარიალ ენერჯის, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგოტრანსს შორის 2011 წლის 19 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი. აღნიშნული პროექტის განმარტებით ბარათში ასახულია მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის მიზნობრიობა და საინვესტიციო ოდენობა.

2.12. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა არის ბათილად

იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის ნაწილში. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო სამართლებრივი აქტი გამოცემულია გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 45.1, 46.2, 53.1 მუხლების უგულვებელყოფით. მოსარჩელე ასევე ყურადღებას ამახვილებს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-10.2 და მე-11.1 მუხლებზე. სასამართლომ მიუთითა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 2011 წლის 14 ნოემბრის N25-05/44 წერილზე, რომლის თანახმად, სადავო ტერიტორიაზე საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი მცენარეების სახეობები არ იყო წარმოდგენილი, ხოლო არსებული ნახაზის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე დარიალ ჰესის მშენებლობა არ მოითხოვდა მერქნიანი მცენარეების მოჭრას. მოსარჩელე მხარეს რაიმე მტკიცებულება აღნიშნული გარემოების გასაბათილებლად არ წარმოუდგენია. მოსარჩელის პოზიცია ასევე ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დარიალ ჰესის მშენებლობა დაიგეგმა და განხორციელდა არასწორად. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოხდა კონკრეტული მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფა. სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მოცემული დავის ფარგლებში შეამოწმოს დარიალ ჰესის მშენებლობის მიზანშეწონილობა ან შეაფასოს დაცული იყო თუ არა მშენებლობისას სამშენებლო ან სხვა ტექნიკური ნორმები. ამგვარი საკითხების შეფასება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმების ფარგლებს სცდება. მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია სხვა რაიმე ისეთ დარღვევაზე, რაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას გამოიწვევდა.

3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.1. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1 მუხლით დადგენილად მიიჩნია, რომ ჰიდროელექტროსადგურ „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართობი ნაწილობრივ ჯდება დაცულ ტერიტორიებში (აზომვითი ნახაზი N1, N2 N3), რის გამოც სს „დარიალ ენერჯი“ ითხოვდა აღნიშნული ნაკვეთების სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებით გადაცემას და რომ მითითებულ ნაკვეთებზე სს „დარიალ ენერჯის“ განმარტებით, არ იყო გათვალისწინებული რაიმე სახის ხე-ტყის მოჭრა და არ აღინიშნებოდა წითელი ნუსხით დაცული მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.3 მუხლით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობდა ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერში, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში. თუმცა სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი, ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერი შედიოდა თუ არა სახელმწიფო ტყის ფონდში. ამასთან დაკავშირებით საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება და არც მოპასუხე მხარეს ჰქონია რაიმე არგუმენტი. სსიპ დაცული ტერიტორიის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, დაცული ტერიტორიების 25% არის ტყით დაუფარავი ტერიტორია. სასამართლო განხილვისას დადასტურდა, რომ სადავო ტერიტორიაზე

ხე-მცენარეები საერთოდ არ გვხვდება, შესაბამისად, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადერივაციო არხის გაყვანა არ მოითხოვდა ხე-ტყის ჭრას. აღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან საერთოდ არ ირკვევა, რის საფუძველზე მიაკუთვნა სასამართლომ აღნიშნული მიწის ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდს და შესაძლებელი იყო თუ არა ამ ტერიტორიის მიმართ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის გამოყენება. აპელანტის განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია და საქმის სასამართლო განხილვისას მოსარჩელის მიერ არაერთხელ ხაზგასმით გაუღერდა, რომ საქართველოს კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილება (13.03.2012. N07589), რომლის თანახმადაც ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ამოირიცხა 20.3633 ჰა, მათ შორის სადავო ადმინისტრაციული აქტის თანახმად სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფილი 8.77737 ჰა ფართობი. ამის შემდეგ სს „დარიალ ენერჯიმ“ გააგრძელა ამ ტერიტორიით სარგებლობა. თუ სადავო ტერიტორია ნამდვილად წარმოდგენდა სახელმწიფო ტყის ფონდს, მაშინ მისი დაცული ტერიტორიიდან ამოირიცხვის შემთხვევაში ის გახდებოდა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი, ხოლო სახელმწიფო დაცული ტერიტორიების ტყის ფონდიდან სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში გადასული 20.3633 ჰა ფართობი სპეციალური დანიშნულების სარგებლობის ფორმით უნდა გადასცემოდა კომპანიას. მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რაც ადასტურებს, რომ სადავო ტერიტორია არასოდეს ყოფილა სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი და არ შეიძლებოდა მის მიმართ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის გამოყენება. ამდენად, სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასწორად და არასრულად დაადგინა, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

3.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1 მუხლით დადგენილად მიიჩნია, რომ სს „დარიალ ენერჯიმ“ 2010 წლის 10 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სადაც ითხოვდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან გარკვეული ფართობის გადაცემას. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჰესის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროექტი მოიცავს დაცული ტერიტორიის 2.64 ჰა-ს. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოყოფილი იქნა 8.77737 ჰა. გაუგებარია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან საერთოდ არ ირკვევა, ზემოაღნიშნულ ორ აქტში რატომ არის ჰესის საპროექტო არეალით მოცული ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიებს შორის ასეთი სხვაობა. სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასწორად და არასრულად დაადგინა, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

3.3. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.6 მუხლით

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის თანახმად დადგენილად მიიჩნია რომ, ვინაიდან წარმოდგენილი წერილისა და პროექტის მიხედვით არ იგეგმებოდა დაცულ ტერიტორიაზე რაიმე სახის ჭრების განხორციელება, დამატებით გასააზრებელი იყო აღნიშნული საკითხის მთავრობის მიერ დარეგულირების მიზანშეწონილობა (ს.ფ. 49-50). აღნიშნულ დასკვნაში საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტი მიუთითებს მთავრობის განკარგულების პროექტის შეუსაბამობაზე კანონმდებლობასთან, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2010 ლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 27.2 მუხლთან. ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და შესაბამისი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია მმართველობის კანონიერებასთან, რომელიც განსახილველ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა კანონსაწინააღმდეგოდ და რაც ზემოაღნიშნული მტკიცებულების საერთოდ უგულვებელყოფაში გამოიხატა.

3.4. აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორ საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულად დაუსაბუთებელია, დაფუძნებულია ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ საქმეზე არ წარმოდგენილა და არც სასამართლოს მიერ არ ყოფილა მოპოვებული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

3.5. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39 3.2 „ა“, „ბ“, „გ“ და 39 4-ე

მუხლის „ე“ და „ე“ პრიმა ქვეპუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები, აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. ნორმების გულმოდგინედ გადმოწერა არამცდარამც არ ნიშნავს ამ ნორმების გამოყენებას, მით უფრო კონკრეტული სადავო შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3.6. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებისა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელსა და ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სწორად არ შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლოს მიერ საერთოდ იგნორირებულია მტკიცებულებების გამოკვლევის სტადიაზე მოსარჩელის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი საფუძვლიანი მოსაზრებები საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ცალსახად ადასტურებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონწინააღმდეგობას (იხ. სხდომის ოქმები).

3.7. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი („ეროვნული პარკი“), რომლის თანახმად დაუშვებელია ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამავე კანონის 5.1 მუხლი, რომლის თანახმად „ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის“ და 5.3 მუხლი, რომლის თანახმად იმპერატიულად არის განსაზღვრული, თუ რა ზონები შეიძლება მოეწყოს ეროვნულ პარკში, რა მიზნით ეწყობა თითოეული მათგანი და რომ ეროვნულ პარკში მოსაწყობი არც ერთი ზონა არ ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და არც აღნიშნული მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობაში გამოყოფას. ამდენად, წარმოდგენილი

საქმიანობა - ჰესის მშენებლობა და ფუნქციონირება, შეუთავსებელია ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობისათვის.

3.8. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა დაუშვებელი ხენა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობის განთავსება“. ამდენად, წარმოდგენილი საქმიანობა - ჰესის მშენებლობა და ფუნქციონირება, შეუთავსებელია საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულ საქმიანობებთან.

3.9. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის (საქმიანობა დაცულ ტერიტორიაზე) მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება(ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეიბრება), შეშფოთება; დაცული ტერიტორიის ინდივიდუალური დებულებითა და მენეჯმენტის გეგმით დაუშვებელი საქმიანობა. ამდენად, წარმოდგენილი საქმიანობა ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესს, რის გამოც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი თანახმად სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლისა.

3.10. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილება და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ტყის კოდექსის 33.2 მუხლი. კერძოდ: მითითებული დადგენილების 27.2 მუხლის 1-ლი პუნქტის, ასევე საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური სარგებლობა. „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის“ თანახმად, ეროვნული პარკი და მათ შორის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა არ განეკუთვნება ისეთ დაცულ ტერიტორიას, სადაც დასაშვები იქნებოდა სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობა. საქართველოს მთავრობის დასახელებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებას გამორიცხავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.7 მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ და რომელიც განსახილველი დავის გადაწყვეტისას სასამართლომ არ გამოიყენა.

3.11. აპელანტის განმარტებით, საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის (მუხლი 33. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა) მე-2 პუნქტის მიხედვით, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებას სახელმწიფო ტყის ფონდში ანიჭებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე იქ, სადაც დაუშვებელია სპეციალური მიზნით ტყითსარგებლობა, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო დაინტერესებულ პირებთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით” (საქართველოს ტყის კოდექსი ციტირებულია გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით). საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 27¹ მუხლი (სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭება) აზუსტებს ტყის კოდექსის ზემოხსენებულ ნორმებს. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე იღებს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე - იქ, სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, გარდა საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა” (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს 0242 დადგენილება ციტირებულია გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით). ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ტყის კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლის დროსაც სპეციალური სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მთავრობამ და არა სამინისტრომ, მოიაზრება 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობისას. აქედან გამომდინარე, რადგან დარიალ ჰესის მშენებლობის მიზნით „დარიალ ენერჯისათვის” ტერიტორიის სპეციალური სარგებლობით გადაცემა არ გულისხმობდა ხე-ტყის დამზადებას (მით უმეტეს 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე) მთავრობა არ იყო უფლებამოსილი მიეღო ეს განკარგულება. ამრიგად, სასამართლომ სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და შეაფასა საქმეზე დართული მტკიცებულებები. ასევე არასწორად გამოიყენა კანონი - საქართველოს ტყის კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები.

3.12. აპელანტის განმარტებით, საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების

მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლომ არასწორად გამოიყენე დასახელებული კოდექსის ეს მუხლი, ვინაიდან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღნიშნული საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ 5.1, 5.3, 20.4 მუხლები, „გარემოს დაცვის შეახებ“ საქართველოს კანონის 45-ე, 46.2, 53.1 მუხლები და სხვა.

3.13. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - საქართველოს ტყის კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმად სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს. აღნიშნულზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში შესაძლებელი იყო სპეციალური დანიშნულების ტყით სარგებლობა და ეს არ ეწინააღმდეგება დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობას. ამავე ლოგიკის მიხედვით, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა (მაგალითად, ნებისმიერი ტიპის მშენებლობა, წიაღის მოპოვება, ტყის ჭრა) ასევე შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, არამედ ისეთ მკაცრად დაცულ ტერიტორიებზეც, როგორცაა მაგალითად ლაგოდეხის ნაკრძალი, ბორჯომის ნაკრძალი, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი, ეროვნული პარკები მკაცრი დაცვის ზონების და სხვ. ვინაიდან ეს ტერიტორიები შედიან სახელმწიფო ტყის ფონდში. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ამკვიდრებს ძალიან სახიფათო პრეცედენტს, რომლის შედეგადაც პრაქტიკულად უქმდება საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემა და ის უთანაბრდება სამეურნეო ტყის ფონდს.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. იმავე მუხლის მეორე

ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი დასაბუთება

4.1. სააპელაციო სასამართლო სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც იზიარებს სააპელაციო პალატაც.

4.2. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს დარიალ ენერჯიმ 2011 წლის 10 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. წერილის ავტორი განმარტავდა, რომ ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგზე სს დარიალ ენერჯსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 19 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ხორციელდებოდა 108 მგვტ ჰიდროელექტროსადგურის - „დარიალ ჰესის“ მშენებლობა. ვინაიდან მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართობი ნაწილობრივ ჯდებოდა დაცულ ტერიტორიებში (აზომვითი ნახაზი N1, N2, N3) სს დარიალ ენერჯი ითხოვდა აღნიშნული ნაკვეთების სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებით გადაცემას. წერილის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ მითითებულ ნაკვეთებზე არ იყო გათვალისწინებული რაიმე სახის ხე-ტყის მოჭრა და არ აღინიშნებოდა წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობა.

4.3. სს დარიალ ენერჯის წერილის საფუძველზე მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 მ.კვ მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გამოყოფის თაობაზე.

4.4. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 2011 წლის 14 ნოემბრის N25-05/44 წერილით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეცნობა, რომ წარდგენილ ნახაზზე აღნიშნული ტერიტორია მდებარეობდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერში ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში. აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი მცენარეების სახეობები არ იყო წარმოდგენილი, ხოლო არსებული ნახაზის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე დარიალ ჰესის მშენებლობა არ მოითხოვდა მერქნიანი მცენარეების მოჭრას.

4.5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2011 წლის 15 ნოემბრის N17/08/4477 წერილით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსადმი განმარტებულია, რომ ყაზბეგის (სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით შერჩეული მიწის ნაკვეთის ე.წ. სპეციალური

დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გამოყოფის თაობაზე სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნევდა დოკუმენტაციაში წარდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულიყო წერილში მითითებული ღონისძიება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის N574 წერილით საქართველოს მთავრობას სხდომაზე განსახილველად წარედგინა განკარგულების პროექტი ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე.

4.7. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, ვინაიდან წარდგენილი წერილისა და პროექტის მიხედვით არ იგეგმებოდა დაცულ ტერიტორიაზე რაიმე სახის ჭრების განხორციელება, დამატებით გასააზრებელი იყო აღნიშნული საკითხის მიზანშეწონილობის საკითხი.

4.8. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის სხდომის N42 ოქმიდან ამონაწერის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე“.

4.9. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულებით „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობი გამოიყო სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში.

სამართლებრივი დასაბუთება

4.10. სააპელაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

4.11. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის

არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

4.12. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი კანონს არ ეწინააღმდეგება, ასევე, ის არანაირ პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ აყენებს აპელანტის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

4.13. სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები, მათ შორის ტრადიციული გამოყენების ზონა. ამასთან, ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება. „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყაზბეგის ეროვნული პარკი შეიქმნა 8707 ჰა ტერიტორიაზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბრის N46 ბრძანებით 2008 წლის 7 ნოემბრის N729 ბრძანებას დაემატა N12 დანართი. აღნიშნული დანართით დადგენილი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი. წესის მე-8

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საერთო ფართობი შეადგენს 2990 ჰა ტერიტორიას, რომელიც მოიცავს №2 კვარტალის მე-5 უბანს და №№ 5, 6, 10, 11, 14, 18, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, 34, 35, 36, 38, 41, 42, 44, 45, 49, 57, 58 კვარტალებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რაც დასაშვებია ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა დადგენილი ის გარემოება, რომ დარიალ ჰესის მშენებლობისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოსაყოფი მიწის ფართი ექცეოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის №6 კვარტალის მე-18 ლიტერში. მოსარჩელე სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშესაბამობის დასადასტურებლად მიუთითებს დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ კანონზე. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას არ ითვალისწინებს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა საქართველოს ტყის კოდექსის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონების, მიწის კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ტყე არის გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ტყე არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე; ამავე კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ კანონმდებელი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით მოაზრებულ ტერიტორიას აქცევს ტყის კოდექსით დადგენილ ტყის ფონდის ფარგლებში. ამდენად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას ტყის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების შესაბამისი ნორმების გამოყენება მართებულია.

4.14. საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ

ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის: ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობის (გარდა ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისა), ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის (ცვლილების დოკუმენტი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივნისის N228, მოქმედებს 2011 წლის 11 ივნისიდან). ამავე წესის 27² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ სწორედ აღნიშნა, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სადავო ტერიტორია ტყის ფონდის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იყო სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემის თაობაზე მიეღო გადაწყვეტილება. ამგვარი გადაწყვეტილება აისახა სადავო საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულებაში. დავის განხილვისას წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელთა თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნა არ მოიპოვებოდა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. ამასთან, წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის №1150 განკარგულება, რომლითაც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობას, სს დარიალ ენერჯის, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგოტრანსს შორის 2011 წლის 19 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი. აღნიშნული პროექტის განმარტებით ბარათში ასახულია მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის მიზნობრიობა და საინვესტიციო ოდენობა.

4.15. საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა არის ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულება ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალ ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ. მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის ნაწილში. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო სამართლებრივი აქტი გამოცემულია გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 45.1, 46.2, 53.1 მუხლების უგულვებელყოფით. მოსარჩელე ასევე ყურადღებას ამახვილებს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-10.2 და მე-11.1 მუხლებზე. საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 2011 წლის 14 ნოემბრის N25-05/44 წერილზე, რომლის თანახმად, სადავო ტერიტორიაზე საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი მცენარეების სახეობები არ იყო წარმოდგენილი, ხოლო არსებული ნახაზის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე დარიალ ჰესის მშენებლობა არ მოითხოვდა მერქნიანი მცენარეების მოჭრას. მოსარჩელე მხარეს რაიმე მტკიცებულება აღნიშნული გარემოების გასაბათილებლად არ წარმოუდგენია. მოსარჩელის პოზიცია ასევე ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ დარიალ ჰესის მშენებლობა დაიგეგმა და განხორციელდა არასწორად. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოხდა კონკრეტული მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფა. სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მოცემული დავის ფარგლებში შეამოწმოს დარიალ ჰესის მშენებლობის მიზანშეწონილობა ან შეაფასოს დაცული იყო თუ არა მშენებლობისას სამშენებლო ან სხვა ტექნიკური ნორმები. ამგვარი საკითხების შეფასება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმების ფარგლებს სცდება. მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია სხვა რაიმე ისეთ დარღვევაზე, რაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას გამოიწვევდა.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული

საფუძვლები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს.

6. საპროცესო ხარჯები

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე-55-ე მუხლების შესაბამისად, აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება.
3. აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით მხარეებისათვის დასაბუთებული განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი მმ. ზუბალაშვილების ქუჩა №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) მეშვეობით.

თავმჯდომარე

მოსამართლეები



მერაბ ლომიძე

თეა მიმისტარაშვილი

გიორგი ტყავაძე